

ბრკანება # 725 - საქ. აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარმოდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

მიღებულია - 04.09.2009 წ

ძალაშია - 04.09.2009 წ

18.11.2009 წ - მდგომარეობით

მიმღები: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარმოდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52' მუხლის მე-7 პუნქტისა და "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის #37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" და "მ" ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული "საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარმოდგენისა და განხილვის წესი."

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნ. გვარამია

გამოქვეყნებულია #109 მაცნეში

04.09.2009

ნაწილი III

წესი - საქ. აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარმოდგენისა და განხილვის წესი

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/ მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარმოდგენისა და განხილვის წესი

მუხლი # 1 - წესის მიზანი

1. ამ წესის მიზანია საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - დაწესებულება) აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ აბიტურიენტთა/ მაგისტრანტების კანდიდატთა ხელშეწყობა და სტუდენტთა მოხილობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად,

აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს/სტუდენტებს უფლება აქვთ ისწავლონ დაწესებულებაში აკრედიტებული პროგრამით ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე.

მუხლი # 2 - დაწესებულებაში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტს/ მაგისტრ. კანდიდატს/ სტუდენტს. დაწესებულის მოთხოვნები

დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის დაწესებული მოთხოვნები

1. დაწესებულებაში აკრედიტებული პროგრამით სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ამ წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

ბ) სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. დაწესებულებაში აკრედიტებული პროგრამით სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, ამ წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით;

გ) სტუდენტებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

3. აბიტურიენტებს/ მაგისტრანტობის კანდიდატებს/ სტუდენტებს უფლება აქვთ განცხადებით მომართონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო), საქართველოში ბოლო ჩამოსვლიდან 2 წლის განმავლობაში.

4. განცხადებით მომართვა ხდება ამ წესზე თანდართული ფორმის შესაბამისად, რომელიც აბიტურიენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს/სტუდენტს შეუძლია მიიღოს სამინისტროში.

5. აბიტურიენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს/სტუდენტს უფლება აქვს ამ წესით დადგენილი პროცედურების თაობაზე მიმართოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

6. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ყველა გვერდის ასლი;

ბ) უცხო ქვეყანაში ბოლო 2 წლის ან მეტი წლის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

ბ.ა. უცხო ქვეყანაში რეგისტრაციის დოკუმენტი;

ბ.ბ. საკონსულო აღრიცხვის დოკუმენტი;

ბ.გ. ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ადასტურებს პირის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტს.

გ) უცხო ქვეყანაში სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/უცხო ქვეყანაში მიღებული შესაბამისი უმაღლესი

განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ცნობა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის შესახებ;

დ) აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის მიერ არჩეული დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და ფაკულტეტის/სპეციალობის მითითებით).

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის განცხადებას, ამ მუხლის მე-6 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას ამ მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

9. ამ მუხლის მე-6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცნობაში ასახული უნდა იყოს გავლილი საგნების ნუსხა საათებისა და მიღებული შეფასებების მითითებით.

10. ამ მუხლის მე-6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ასლი ან ცნობა (გარდა "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წლის მინსკის კონვენციის მონაწილე ქვეყნებიდან წარმოდგენილი დოკუმენტის ასლისა ან ცნობისა) ლეგალიზებული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო "უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ" ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციის წევრი ქვეყნებიდან - აპოსტილით დამოწმებული.

11. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

მუხლი # 3 - პრთიანი პროფნული გაყოცღობის/საართო საგაბისტრო გაყოცღობის გავლის გარეშე აკრედიტაბული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტობის/მაგისტრანტობის კანდიდატობის/სტუდენტობის მიერ წარმოღმენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტობის განსახილველად მომზადება

1. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას ამ წესის მე-2 მუხლის მე-6-მე-11 პუნქტების მოთხოვნებთან ამოწმებს სამინისტროს შესაბამისი სამსახური და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 10 თვისა.

1'. თუ განმცხადებელი ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში არ გამოსასწორებს ხარვეზს, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შექმნილი კომისია, სამინისტროს შესაბამისი სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

2. სამინისტროს შესაბამისი სამსახური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურისგან გამოითხოვს ცნობას ამ წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთის შესახებ საქართველოში ჩამოსვლამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში.

3. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა განცხადებების საფუძველზე სამინისტროს შესაბამისი სამსახური ამზადებს დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული

გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების რეესტრს (შემდგომში - რეესტრი), სადაც შეიტანება შესაბამისი მონაცემები.

მუხლი # 4 - კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

1. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას ამ წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებთან ამოწმებს "საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა/სტუდენტთა დოკუმენტების შემსწავლელი კომისია" (შემდგომში - კომისია), რომელიც შედგება 7 წევრისაგან.
2. კომისია იქმნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისიის სხდომების შედეგად იწარმოება ოქმი, რომელიც ფორმდება სხდომის დასრულებიდან 3 დღის ვადაში და მას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი # 5 - დაფუძნულობაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება

1. პუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.
2. პუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.
3. პუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.
4. კომისია, ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამინისტროში შემოტანილ განცხადებას იხილავს განცხადების შემოტანიდან ან ხარვეზის გამოსწორებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.
5. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უცხო ქვეყანაში ცხოვრების ვადა მოიცავს პერიოდს სტუდენტის/ მაგისტრანტობის კანდიდატის საქართველოში ბოლო ჩამოსვლის დღემდე.
6. საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის შემთხვევაში, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უცხო ქვეყანაში ცხოვრების ვადის დადგენის მიზნებისათვის ითვლება, რომ სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი ცხოვრობდა უცხო ქვეყანაში. საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის გარემოებებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ცნობის შინაარსის გათვალისწინებით იკვლევს კომისია.
7. პუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.
8. პუნქტი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა.
9. კომისია, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესით განცხადების განხილვიდან არა უგვიანეს 7 დღისა, მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას. მინისტრი კომისიის მიერ რეკომენდაციის წადგენიდან 7 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დაწესებულებაში სწავლის თაობაზე. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის დაწესებულებას, ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და აისახება რეესტრში.
10. დაწესებულების ხელმძღვანელი მინისტრის აქტის ოფიციალური გაცნობიდან 10

დღის ვადაში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს პირის დაწესებულებაში ჩარიცხვის თაობაზე. დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი დაუყოვნებლივ ქვეყნდება დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი # 6 - ბარდაშავალი დებულებები

1. კომისია იქმნება ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 თვის განმავლობაში.
2. კომისია უფლებამოსილია, სამინისტროში შემოტანილი განცხადებების განხილვისას, განსაკუთრებულ შემთხვევებში და მხოლოდ სათანადო დასაბუთებით, იხელმძღვანელოს ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილისაგან განსხვავებული პირობებით, ასევე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ წესის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოდგენის აუცილებლობის თაობაზე.
3. პუნქტი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .
4. განცხადების განხილვა ხდება ამ ბრძანების მე-3- მე-5 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

დანართი

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრს

მოქალაქის

.....
(მიუთითეთ ქვეყანა)

მოქალაქეობის არმქონე პირის

(გახაზეთ მოქალაქეობის არქონის შემთხვევაში)

იურიდიული მისამართი:

ფაქტობრივი მისამართი:

ტელ:

მობ:

ელ-ფოსტა (E-mail) :

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა

ერთიანი ეროვნული გამოცდების
საერთო სამაგისტრო გამოცდების
(გალახაზეთ სასურველი)

გავლის გარეშე

.....
(მიუთითეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება)

.....
(მიუთითეთ ფაკულტეტი ან სპეციალობა)

სწავლის გაგრძელების უფლების მონიჭების თაობაზე

ღანართი: ფურცელი

საკონტაქტო პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) :

იურიდიული მისამართი:

ფაქტობრივი მისამართი:

ტელ.:

მობ.:

ელ-ფოსტა (E-mail) :

განმცხადებლის ხელმოწერა :

თარიღი :

ცვლილებები შეიტანეს:

30.09.2009 - ბრძანება - # 815

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 სექტემბრის N725 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი: **430.210.000.22.022.013.517**